



# შირაკი

## SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№41 (9.557)

2 ნოემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## სოფლის მეურნეობა გაღარჩენის მოლოდინში წელს გაცილებით დიდი რაოდენობის მიწები მუშავდება



დედოფლისწყაროში აგრარული სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც რაიონის, ასევე მისი მოსახლეობის ცხოვრებაშიც. 15 ნოემბრამდე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ადამიანებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის პროცესი უნდა დაასრულონ. გაზეთი „შირაკი“ დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს საშემოდგომო სამუშაოები დედოფლისწყაროში და რა პრობლემების წინაშე დგანან ადგილობრივი ფერმერები.

ადამიანს მიეცემა ხოლმე, ყველა ცდილობს, რომ ნაკვეთი დაამუშავოს, რათა მომავალი წლისთვის საკუთარი პროდუქციაც ანარმოს და გასაღების ბაზარზეც იზრუნოს - წელს მსოფლიო ბაზარზე შექმნილმა პურის საყოველთაო კრიზისმა და ხორბალზე ფასის მატებამ ხალხს სტიმული მისცა - აცხადებენ ჩვენთან საუბრისას ფერმერები და დასძენენ, რომ წინა წლებთან შედარებით 2012 წელს გაცილებით მეტი მარცვლეული კულტურა ითესება.

შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობა დადებითი პროცესების მოლოდინშია. თუმცა, სოფლის მეურნეობაში კვლავ უამრავი პრობლემის წინაშე დგანან როგორც მსხვილი, ასევე წვრილი ფერმერები.

საქართველოში კვლავ აქტუალურია ხარისხიანი თესლის პრობლემა. სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული ადამიანები ამბობენ, რომ უნდა შეიქმნას სათესლე მეურნეობა, სადაც მუდმივად მოხდება თესლის განახლება. წინა წელს გერმანიიდან შემოვიდა მაღალი ხარისხის ხორბლის თესლი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თუ არ მოხდა მისი განახლება, ისიც დაბალი ხარისხის გახდება-აცხადებენ ფერმერები. ზოგიერთი მათგანი კი ყურადღებას რამდენიმე სახის ტექნიკის დეფიციტზეც ამახვილებს. „ჩვენს რაიონში ტექნიკის განახლება მოხდა, თუმცა, კვლავ მცირე რაოდენობითაა საჩქებები და სატექნიკური. იმისთვის, რომ ახალი ტექნოლოგიით შევძლოთ მიწების დამუშავება, მეტი ასეთი ტიპის

ტექნიკის შემოტანა გახდება საჭირო“ - აღნიშნეს ფერმერებმა.

მცირე ფერმერული მეურნეობის წარმომადგენლები ჩვენთან საუბრისას ხშირად ამბობდნენ, რომ სერვის-ცენტრების შექმნა და ახალი ტექნიკით მათი აღჭურვა უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მაგრამ ძვირადღირებული ტექნიკით სარგებლობა ყველას როდი შეეძლო. ამ საკითხის ირგვლივ ორი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. პირველის მიხედვით, უნდა მოხდეს შეღავათიანი ტარიფების დანერგვა მათთვის, ვინც ძლიერი ფერმერი არ გახლავთ, მეორე მოსაზრება კი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი, ამორტიზებული ტექნიკით სარგებლობას ბევრი ფერმერი ახალი ტექნიკით მომსახურებას არჩევს. მიზეზი მარტივია-ძველი ტრაქტორი ხშირად ფუჭდება და მინასაც ნაკლებად ხარისხიანად ამუშავებს, ამიტომ ახალი ტექნოლოგიით დამუშავება ნელ-ნელა უფრო აქტუალური ხდება.

„იმისთვის, რომ მაღალი მოსავალი მოიწიო, საჭიროა მიწის კარგად დამუშავებაც, რასაც ახალი ტექნიკა უპრობლემოდ ასრულებს. შემოძლია გითხრათ, რომ გასულ წელთან შედარებით სერვის-ცენტრებში არსებული ტექნიკით სარგებლობა საკმაოდ მაგარადილი. ბევრ ადამიანს ურჩევია, 20-30 ლარით მეტი გადაიხადოს, სამაგიეროდ მაღალი მოსავლის გარანტია მიიღოს. ტექნიკურად ახალი მანქანები მაღალკვალიფიციურია და ბევრი ფერმერი აღიარებს, რომ ერთ ჰექტარზე 200 ლარით მეტ შემოსავალს იძლევა“ - აღნიშნავს ფერმერი ზურაბ თეთვაძე.

ბეჟან გონაშვილი: „ძირითადი პრობლემა მინაზე ქონების მაღალი გადასახადია - 1 ჰა-ზე 87 ლარი, რაც ფერმერებისთვის მძიმე ტვირთია, თან იმ პირობებში, როცა არ ხდება მიწის დიფერენცირება მწირ და კარგ მიწებად. განა ნაკლებად მნიშვნელოვანია, გლეხს მინა ტარიფანში აქვს თუ შუაგულ შირაქში? ასევე ძვირია სანავი და სასუქი, რომლით განოყიერებასაც გადაეყვია ჩვენი

მიწა, მიზეზად კი ის მივიღეთ, რომ სასუქის დეფიციტმა მინის გამოფიტვა გამოიწვია და ის მოსავალს აღარ იძლევა. ტექნიკის სიმცირის პრობლემა მოიხსნა, შემოვიდა ახალი ტრაქტორები, მაგრამ ძვირია და მცირე ფერმერები მათით ვერ სარგებლობენ. ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ წვილი ფერმერებზე იზრუნებს სახელმწიფო სერვის-ცენტრი და მათთვის სპეციალურ, შეღავათიან ტარიფებს შეიმუშავებს“.

იდენტურად ფიქრობენ სხვა ფერმერებიც, რომლებიც უცხოელების გამოცდილებასაც გვიზიარებენ და ამბობენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. უცხოეთის გამოცდილება კი ასეთი გახლავთ: გერმანიაში თითოეულ ფერმერს 1 ჰექტარზე სახელმწიფო სუბსიდიის სახით 300 ევროს უზღვის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში-120 ევროს, ხოლო თურქეთი ფერმერების მიერ მოყვანილ პროდუქციას, კერძოდ კი 1კგ. ხორბალს 60 თეთრად იბარებს, ანუ, გლეხს მოყვანილი პროდუქციის არც გასაღების ბაზრის მოძიების და არც რეალიზაციის პრობლემა არ აქვს, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც ყველა ფერმერი საბაზრო ეკონომიკის კანონს ემორჩილება.

საქართველოში სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები რომ დასაძლევია, ამაზე არავინ დაობს. ფერმერები თვითონ იძლევიან მესიჯებს, რომელიც ამ დარგის განვითარებისთვისაა საჭირო, მათ შორის ყველაზე პრიორიტეტულად შეღავათიან საბანკო კრედიტებს ასახელებენ. ისინი ამბობენ, რომ ბანკების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისთვის. ახალი ხელისუფლებაც აცხადებს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობის გაძლიერებაა. ამისთვის მთავრობა სოფლის მეურნეობის გადარჩენის ფონდის შექმნას და წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას უახლოეს მომავალში გეგმავს.

ინგა შილაშვილი

**სამთაწვარში ხიდის გახსნას კვლავ ითხოვენ**

გვ. 3

**„მოვსულვართ შენი შვილები“**

გვ. 5

**ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტი ჭაჭუნას ალკვეთილში**

გვ. 6

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანათვის**

**შსსსსს!**

- ახალი ინფორმაცია
- საპარტოლაზიონი აქტუა
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)



# გუბერნატორებს ზრეზიდენტის ნაცვლად ჰრემიერ- მინისტრი დანიშნავს

რეგიონების გუბერნატორებს, პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტს მთავრობის სხდომაზე განიხილავენ.

როგორც უკონსტიტუციო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განუცხადა, გუბერნატორები რეგიონებში არიან მთავრობის წარმომადგენლები, კოორდინაციას უწევენ პროექტებს, რომლებიც რეგიონებში სხვადასხვა სამინისტროების მიერ ხორციელდება. შესაბამისად, ნარმანია მიიჩნევს, რომ გუბერნატორებს უნდა ნიშნავდეს პრემიერ-მინისტრი და ისინი ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ მთავრობასთან.

„ცვლილების მიხედვით, გუბერნატორები უნდა დანიშნოს არა პრეზიდენტმა, არამედ - პრემიერ-მინისტრმა. ამას საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდება, ეს არის უბრალოდ საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც მთავრობა პარლამენტს გაუგზავნის“, - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მოქმედი კანონმდებლობით, გუბერნატორებს საქართველოს რეგიონებში საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი არიან პრეზიდენტის წინაშე.

ნარმანიას ინფორმაციით, ახალი გუბერნატორის დანიშვნის ძირითად მონახაზს საქართველოს მთავრობა დაახლოებით 10 დღეში წარმოადგენს და კანდიდატურებს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არსებული შემთავსებით უზრუნველყოფს შეთანხმებას.

# ბიძინა ივანიშვილი რუსთავის ციხის მოვლენებში საბოტაჟის ნიშნებს ხედავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი რუსთავის ციხეში მიმდინარე მოვლენებში საბოტაჟის ნიშნებს ხედავს. როგორც კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შეხვედრა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან, სოზარ სუბართან.

„ის სწავლობს, მუშაობს ამ თემაზე და კარგად ერკვევა, რა ხდება. იქაც არის საბოტაჟის ნიშნები. არის ეჭვები, რომ ეს ვილაცეების მიერ ორგანიზებულია. უახლოეს დროში გავერკვევით ალბათ და დავალაგებთ სიტუაციას“, - განაცხადა ივანიშვილმა.

რუსთავის N 16 დაწესებულებაში რამდენიმე დღეა დაძაბული ვითარებაა.

# სიღნაღის გამგებლად ვაჟა ჯანყარაშვილი დანიშნა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ვაჟა ჯანყარაშვილი დანიშნა. ჯანყარაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

„საკრებულოში მხოლოდ ერთი განცხადება შემოვიდა. სე-სიაზე ეს საკითხი რიგგარეშე საკითხად გაეიტანეთ, რომელსაც 24 დეკემბერიდან 22 ექსპრესობდა. ვაჟა ჯანყარაშვილის გამგებლად დანიშნა მხარი 17 დეკემბერს დაუჭირა, ერთმა თავი შეიკავა, ოთხი კი წინააღმდეგი იყო. ვფიქრობთ რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს წარმატებით გაართმევს“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ზედელაშვილმა.

სიღნაღის გამგებლის თანამდებობა ერთი წლის განმავლობაში ვაკანტური იყო. გამგებელმა ნოდარ კოჭლამაზაშვილმა თანამდებობიდან ნასვლის შესახებ განცხადება მას შემდეგ დაწერა, რაც გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსი კახი ლენიაშვილი სამართალდამცავებმა ქრთამის ალბის ბრალდებით დააკავეს. დაუდასტურებელი ცნობით, გამგებელი მასთან კორუფციულ გარიგებაში იმყოფებოდა. ასევე, არაოფიციალური ინფორმაციით, სამართალდამცავებს გადამწყვეტილი ჰქონდათ სიღნაღის გამგებლის დაკავება, თუმცა გამგებელი დაპატიმრებას მისი შვილის ავთანდილ კოჭლამაზაშვილის და კახეთის ყოფილი გუბერნატორის გიორგი ლენიაშვილის დახმარებით გადაურჩა. ავთანდილ კოჭლამაზაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობს, ლენიაშვილი კი ნოდარ კოჭლამაზაშვილის ნათესავია. ნოდარ კოჭლამაზაშვილი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, რამდენიმე დღეში, ის სიღნაღის საგანმანათლებლო რესურს - ცენტრის უფროსად დანიშნა და ამ დრომდე მუშაობს.

# განათლების მინისტრი სკოლის დირექტორებს 3 კვირიან ვადას აძლევს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი საჯარო სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებს, რომლებმაც არჩევნებამდე პედაგოგები სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს, დავის გადასაწყვეტად 3 კვირიან ვადას აძლევს. ვადის გასვლის შემდეგ საჩივრებს სპეციალური კომისია შეისწავლის.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის მისამართით უამრავი წერილი შემოდის პედაგოგების, ლექტორების, დირექტორებისა და განათლების სისტემაში მომუშავე იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სამსახურიდან არიან გათავისუფლებულნი. განმცხადებელთა უმრავლესობა მათი დათხოვნის საფუძვლად პოლიტიკურ შეხედულებას ასახელებს და სამუშაო ადგილზე აღდგენას ითხოვს“, - აღნიშნავს გიორგი მარგველაშვილი.

მინისტრს მიაჩნია, რომ იმ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. „ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელს საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში აღარ მოხდეს პოლიტიკური ნიშნით დაყოფა. განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს მომავალი თაობის აღზრდას, განათლებას და ისინი უნდა იზრდებოდნენ ჯანსაღ გარემოში. ამ მდგომარეობიდან ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მიმაჩნია, რომ თითოეულმა თქვენგანმა არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიხატოს ყველანაირი საშუალება, რათა შეძლოთ ერთმანეთში მორიგება და თავიდან დაიწყეთ თანამშრომლობა. ჩემი აზრით ეს იქნება საუკეთესო გზა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. მათ კი ვინც, უახლოესი 2-3 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს ერთმანეთთან საერთო ენის გამოხატვას, მე ვთავაზობ მეორე საშუალებას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უშუალოდ მინისტრის ბრძანებით შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც არსებულ დავებს გაეცნობა და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემთან ერთად. ამ კომისიის შექმნის მიზანია უმოკლეს დროში მოვარგვართო შექმნილი პრობლემები. სხვა შემთხვევაში, დავის განხილვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართება. მე იმედი მაქვს, გაგებით მოეკიდებით და გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და მალე დაუბრუნდებით თქვენს საქმიანობას. პროფესიონალი პედაგოგები ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი საზოგადოებისთვის და რაც ყველაზე მთავარია, თქვენ უნდა მოახმაროთ და გადასცეთ თქვენი ცოდნა ჩვენს მომავალ თაობას“, - აღნიშნავს მინისტრი მიმართავში.

# სკოლაში სწავლება 10 წლიანი გახდება

მომდევნო წლიდან საქართველოს სკოლები, შესაძლოა, ბრიტანულ მოდელზე გადავიდნენ სადაც საშუალო განათლების მიღება 10 წლიანი იქნება, ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის დავით ზურაბიშვილმა განაცხადა.

ზურაბიშვილის ინფორმაციით, ბრიტანული მოდელის მიხედვით 10 კლასი არის საშუალო განათლების მისაღებად, ხოლო შემდგომი 2 წელი უნივერსიტეტისთვის მოსამზადებელი.

მისი თქმით, მოსწავლეები გამოცდებს საგნის დამთავრების თანავე ჩააბარებენ.

„შემდგომ წელს ჩვენ ვაპირებთ სხვა სისტემით სკოლებში გამოცდების ჩატარებას. როდესაც მოსწავლე დაასრულებს ამა თუ იმ საგნის სწავლას ის იმაზე წელს ჩააბარებს იმ საგანში გამოცდას. ეს იქნება მანამ სანამ ჩვენ არ გადავალთ სწავლების სხვა მოდელზე. საუბარია ბრიტანულ მოდელზე სადაც 10 კლასია საშუალო განათლება და შემდგომ ორი წელი არის მოსამზადებელი უნივერსიტეტისთვის“, - განაცხადა დავით ზურაბიშვილმა.

# ზურაბ აბაშიძე: რუსეთთან ურთიერთობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია

რუსეთთან ურთიერთობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, - განაცხადა პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ამ თანამდებობის შემოღება ადასტურებს იმას, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, რომ რუსეთთან შეიქმნას ახალი ურთიერთობის, კომუნიკაციისა და დიალოგის ახალი დამოუკიდებელი არხი. მისივე თქმით, შენარჩუნებული უნდა იყოს ჟენევის არსებული ფორმატი, რადგან მას თავისი სპეციალური დანიშნულება გააჩნია.

„პოლიტიკური დიალოგის ახალი ფორმატის მიზანი უნდა იყოს ორ ქვეყანას შორის ურთულესი ვითარების განხილვა, მათი ეტაპობრივი მონესრიგება, მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის შექმნა, მომავალში კი კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება“, - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

როგორც სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ჩვენი ამოცანაა ჩამოვყალიბოთ რუსეთთან პროგნოზირებადი, პრაგმატული და კეთილსინდისიერი ურთიერთობა, რომელიც ორიენტირებული იქნება მომავალში სამართლიან გადწყვეტილებებზე, ასევე ერთობლივი საფრთხეებისა და გამოწვევებზე შესაძლო კოორდინირებულ ქმედებებზე.

„ამ მიზნების მისაღწევად საქართველომ უნდა გადადგას ყველა ის ნაბიჯი, რომელიც შესაბამება სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო საქმეებში თავისუფალი არჩევანის პრინციპებს“, - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ და იმედი გამოთქვა, რომ რომ საქართველოს ამ ნაბიჯს რუსეთის მხრიდანაც მოჰყვება შესაბამისი გადწყვეტილებები.

# სასჯელალსრულების სამინისტროში ცხელი ხაზი 24 საათიან რეჟიმში იშუშავს

სასჯელალსრულების სამინისტროში დღეიდან ცხელი ხაზი 24-საათიან რეჟიმში იშუშავს. მინისტრის მოადგილის გიგა გიორგაძის განცხადებით, მოქალაქეებს 10:00-დან 18:00 საათამდე დარეკვა შეუძლიათ ქალაქის ნომერზე: 2 25-70-47, სხვა დროს კი ნომერზე 577 22-29-86.

მისივე თქმით, ამ ნომერზე პატიმრების ოჯახის წევრებს და ახლობლებს შეეძლებათ დარეკვა და ინფორმაციის მიწოდება პატიმართა უფლებების დარღვევის, ან რაიმე სხვა ფაქტების შესახებ.

„დღესვე დაიწყეს მუშაობას მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პირობით სასჯელს განიხილავს. ამ დროისთვის 40 000-ზე მეტი პრობაციონერი და მათ, რომელთაც აღარ სჭირდებათ განსაკუთრებული კონტროლი პირობითი მსჯავრი მოეხსნებათ“, - განაცხადა გიორგაძემ.

# ახმეტის სამედიცინო ცენტრიდან 21 თანამშრომელი გაათავისუფლეს

ახმეტის სამედიცინო ცენტრიდან, რომელიც სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიას“ ეკუთვნის, 21 თანამშრომელი გაათავისუფლეს.

როგორც გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა განაცხადეს, არჩევნებამდე სამედიცინო ცენტრში შტაბების რაოდენობა გაზარდეს, მომსახურების ტარიფები შეამცირეს, არჩევნების შემდეგ კი მომსახურების ღირებულება გააძვირეს და თანამშრომლებიც დაითხოვეს.

ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სია დავიდე, რომ ჩვენ გათავისუფლებული ვართ. მიზეზი რა არის, არ ვიცი. ალბათ მორიგი პროვოკაცია მთავრობის წინააღმდეგ. სამედიცინო ცენტრი „ალდაგს“ ეკუთვნის და 100 ლარზე მეტს არ გვიხდენენ“, - აღნიშნა პედაგოგის მედდამ ნუნუ შაიშველაშვილმა.

სამედიცინო ცენტრის მენეჯერის გიორგი უძილაურის განცხადებით, მთავრობის 165-ე დადგენილებასთან დაკავშირებით, სამედიცინო ცენტრებში 1 სექტემბრისთვის მას-ქსიმალორი მობილიზაცია მოხდა. შეგახსენებთ, 1 სექტემბერს პენსიონერებზე გაცემული სამედიცინო დაზღვევის პოლისები ამოქმედდა. „ამჟამად ეს ნაკადი მეტნაკლებად დასტაბილურდა და თანამშრომლები გათავისუფლდნენ“, - განაცხადა უძილაურმა.

სამედიცინო ცენტრიდან ექიმები, ექთნები და სხვა თანამშრომლები სხვა რაიონებშიც გაუფრთხილებლად გაათავისუფლეს.



# სამთაწყაროში ხიდის გახსნას კვლავ ითხოვენ

სამთაწყაროში საინგილოსთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნის პრობლემა ამ დღეებში კვლავ გახდა აქტუალური. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობამ საპროტესტო აქცია აზერბაიჯანის საზღვართან მოაწყო. ადგილობრივები აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნას ითხოვენ.

მსგავსი ტიპის მოთხოვნას

მოსახლეობა რამდენიმე წელია უშედეგოდ აყენებს და საკითხის გადაწყვეტას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს უწოდებს.

როგორც მოსახლეობა აღნიშნავს, საზღვარი 4 წლის წინ ჩაკეტეს. მათი მტკიცებით, მას შემდეგ უჭირთ საინგილოში ნათესავეებთან ჩასვლა და ისტორიულ ჰერეთში ნათესავეების საფლავების მონახულება. ამჯერად საზღვრის გა-

დაკვეთა მხოლოდ ფეხით არის შესაძლებელი. მოსახლეობამ 7 კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს, აზერბაიჯანში შესულ შემთხვევაში კი რამდენიმე საათი უნდა უცადონ ტრანსპორტს, რომელიც დანიშნულების ადგილზე მიიყვანს.

ოფიციალური ვერსიით, ხიდი დაზიანებულია და საზღვარზე ტრანსპორტით მოძრაობა ამიტომ არის შეფერხებული. არაოფიციალურად კი დღემდე საუბრობენ იმაზე, რომ თავის დროზე, ხელისუფლებამ სამთაწყაროს ხიდი იმ მიზეზით დაკეტა, რომ აზერბაიჯანიდან სანგავი და სხვა საქონელი კონტრაბანდის სახით შემოედინებოდა.

ახლანან გამართულ მორიგ საპროტესტო აქციაზე, ორმხრივი მიმოსვლის შეწყვეტის მიზეზად სამთაწყაროს მაცხოვრებლებმა კვლავაც პეტრე ცისკარიშვილის სანგავის ბიზნესი და მისი პირადი ინტერესები დაასახელეს.

შეგახსენებთ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ხიდი დროებით გახსნეს, თუმცა, მიმოსვლა მალევე აიკრძალა. საიდუმლო იყო ისიც, კონკრეტულად რომელი უწყე-



ბის ბრძანებით აიკრძალა სამთაწყაროდან საინგილოში მიმოსვლა.

ვილი.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებში ჩასახლებულ მაცხოვრებლებს საინგილოში ნათესავეების მოსანახულებლად ლაგოდეხის საბაჟოდან შემოვლითი გზით, დამატებით 200 კილომეტრის გავლა უნევთ, რაც მათ ხარჯებს კიდევ უფრო ზრდის.

ილია მარტყოფლიშვილი



## საკოორდინაციო უბების სხდომაზე

ჯილენის ახალი კერის აღმორჩენასთან დაკავშირებით შექმნილმა საგანგებო შტაბმა მორიგი სხდომა ჩაატარა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე რევაზ ქოქიაშვილი თავმჯდომარეობდა.

შტაბის წევრმა, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტმა ეთერ იაკობიშვილმა ისაუბრა არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე სამუშაოებზე. აღინიშნა, რომ სამიში სწეულებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოებისა. ზემო ქედის და საბათლოს საკარანტინო ტერიტორიებზე აღებულ იქნა ნიადაგის

ანალიზები, ჩატარდა იძულებითი ვაქცინაცია წვრილფეხა რქოსან პირუტყვზეც, რადგან ჯილენით პირუტყვის დაავადება სწორედ მათ შემოსვლას უკავშირდებოდა. ამჟამად, სიტუაცია სტაბილურია და ექვემდებარება შეზღუდვების მოხსნას.

შტაბის წევრმა, ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორმა მარიეტა გონაშვილმა აღნიშნა, რომ გამოვლინდა დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული 4 ადამიანი, რომლებსაც აღმოაჩნდათ დაავადების კანის ფორმა და უკვე ყველას ჩაუტარდა მკურნალობა ქალაქ თბილისში.

პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012 წლის

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000 ლარი. შტაბის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს აღნიშნული თანხა ახლადგაჩენილი სამარხი კერების დასაბეტონებლად და შემოსალობად, ასევე, საბათლოში არსებული ძველი სამარხი კერის გასაახლებლად გამოიყენონ.

შტაბის წევრმა, ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორმა მარიეტა გონაშვილმა აღნიშნა, რომ გამოვლინდა დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული 4 ადამიანი, რომლებსაც აღმოაჩნდათ დაავადების კანის ფორმა და უკვე ყველას ჩაუტარდა მკურნალობა ქალაქ თბილისში.

პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების



მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000 ლარი. შტაბის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს

აღნიშნული თანხა ახლადგაჩენილი სამარხი კერების დასაბეტონებლად და შემოსალობად, ასევე, საბათლოში არსებული ძველი სამარხი კერის გასაახლებლად გამოიყენონ.

## ქალაქის ცენტრში ტანსაცმლის მაღაზია გაქურდეს

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე მდებარე ტანსაცმლის მაღაზია 30 ოქტომბერს გვიან ღამით გაქურდეს. წინასწარი ინფორმაციით, ზარალი 3 000 ლარს აღემატება.

სავაჭრო ობიექტის მეპატრონეების განმარტებით, გატანილია სხვადასხვა სახის ტანსაცმელი. წინასწარი ინფორმაციით, დანაშაული ჯგუფურად განხორციელდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კვალის დაფარვის მიზნით, დამნაშავეებმა საკუთარი ტანსაცმელი მაღაზიის შენობაში დატოვეს და შემთხვევის ადგილი ახალი

სამოსით დატოვეს.

ქურდობაში მონაწილე პირთა ტანსაცმლის დატოვების ფაქტი გაზეთ „შირაქის“ დედოფლისწყაროს პოლიციამიც დაუდასტურეს.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებას მს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ერთ-ერთი ვერსიით, მაღაზიის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე რამდენიმე ახალგაზრდა გამყიდველის გართობას ცდილობდა, და-



ნარჩენებმა კი კარის ჩამკეტილია დატოვეს, რამაც მათ შენობაში შეღწევა გაუადვილა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, „მაძებარი ძალი“ რომელიც კრიმინალისტებმა

მოიყვანეს, კვალს სოფელ ხორნაბუჯში, ე.წ. მაზოვკის დასახლებისკენ გაჰყვა. სავარაუდოდ, გამოძიება ექვმიტანილების ვინაობის დადგენას სწორედ ამ სოფელში შეეცდება.

დედოფლისწყაროს პოლიციაში ექვმიტანილთა არსებობის შესახებ ამ ეტაპზე არ საუბრობენ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დამნაშავეთა ნივთმტკიცება ამოღებულია, სავარაუდოდ, გამოძიებას დამნაშავეთა ოპერატიულად გამოვლენა არ უნდა გაუჭირდეს.

ილია მარტყოფლიშვილი



# ცხოვრებას უნდა ეჭიდაო...

დამდეგ ახალ წელს, ზუსტად 1 იანვარს, 83 წლის გახდება. უცხო თვალი ხომ ვერაფრით დაადგენს და ვინც ვიცით, იმათთვისაც დაუფერებელია მისი ასაკი. ისე მართავს ავტობანქანას (თანაც უცხოურს), როგორც ოცი წლის ახალგაზრდა. მეხსიერება - უნიკალური, ყველა და ყველაფერი ახსოვს დეტალებში, დრო - საათებსა და წუთებში, მხედველობა და სმენა იდეალური, თავდაჯერებული, მხნე, შემართული და შრომისმოყვარე, ერთ წუთს ვერ ნახავთ უსაქმოდ: მამისეულ სახლში მოზრუნებულს ეზო-ბაღსა სულ დაკვარკვარებული აქვს, მოცალოებისა უფროს-გაზეთებს ჩაჰკვირებებს, ტელევიზორს უყურებს და ყველაფერზე აქვს მისეული პასუხი. ერთი სიტყვით, მის მიერ განვლილი დიდი, რთული და მრავალფეროვანი ცხოვრების მიუხედავად, ის დღესაც „ფორმაშია“ და მასთან საუბარი დიდი სიამოვნება და ცხოვრების დიდი გაკვეთილია.

შალვა ივანეს ძე ფიროსმანაშვილი



ლი ისეთი კაცის ჩამონაგალია, რომლის სახელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელ გამარჯვების დაარსებასა და განვითარებასთან. ლაპიაშვილების სამოქალაქო სამსახურში, ლარბი-ლატაკმა, მაგრამ ჭკუა-გონებით სავსე ყმაწვილმა მირზაანელთა კალოებზე უზუნდარაში (ახლანდელი გამარჯვება) 1926 წელს საკოლმეურნეო გაერთიანება ჩამოაყალიბა, ოცდათხუთმეტი წელი ედგა მას სათავეში და გომურებიდან და ქობ-მახებიდან კაპიტალური, გამართული სოფელი შექმნა. ხოკიანთ იოსებას უქონელ-უპოვარმა ბიჭმა, რომელსაც სიღარიბის გამო „წყალწყალა“ შეარქვეს, წარუშლელი კვალი დატოვა იმ ეპოქაზე, რომელშიც მას მოუწია ცხოვრებამ. მან ბოდბისხეველ ნინა ჭაბაშვილთან ერთად შექმნა სამაგალითო ოჯახი და ოთხი საუკეთესო შვილი გაუზარდა ქვეყანას - ნათელა, შალვა, ლამარა და ანზორი. მათ მუდამ „წყალწყალას“ შვილებად მოიხსენიებდნენ, რაც მათთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო. სამართლიანი, მიუკერძოებელი, პატიოსანი, ჭკვიანი და გამოჩენილი კაცის შვილობა საამაყოც იყო და რთულიც. მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ მისი ცხოვრებიდან და დასკვნა თქვენთვის მომიხდეთ: რაიონის სოციალისტური შრომის გმირის ერთი ლიმიტი მოუვიდა. შედეგები შეჯამდა და ყველაზე კარგი მაჩვენებლები გამარჯვების კოლმეურნეობას ჰქონდა, მაგრამ სიბრძნის მოსაველიანობის კრიტერიუმს 13 ცენტნერი (ასოცდაათი კილოგრამი) დააკლდა. ციფრის გადასწორება შესთავაზეს. „გადაიარა“, არაფრით არ ქნა, 130 კილო ხორბლის გულისათვის ეს მაღალი ნოდება დაკარგა, თუმცა, მისი ავტორიტეტი რეალურად გმირების სახელს უთანაბრებდა და ხანდახან აღემატებოდა კიდევ. აი, ასეთი კაცის შვილია ბატონი შალვა, რომლის საინტერესო ცხოვრების შესახებაც მინდა მოგიხროთ.

გამარჯვების არასრულ სკოლაში 7 კლასი რომ დაამთავრა, საშუალო განათლების მისაღებად სწავლა ლაგოდენში გააგრძელა, მამიდა პატრონობდა. სულ ფრიალები ჰყავდა და სწავლაში თავისზე წინ არავის უშვებდა, მაგრამ ისეთი ცელქი იყო, ისეთი ჩხუბისთავი... უსამართლობას და ვინმეს დაჩაგვრას ვერ იტანდა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ცეკავშირის ტექნიკუმში უგამოცდოდ

ჩაირიცხა. მასთან ერთად სწავლობდა ზემო ქედის კოლმეურნეობის ცნობილი თავმჯდომარის ვანო ქავთარაძის ვაჟი ვალიკო ქავთარაძე. ამ ორი ქიზიყელი ძმაცაცის სახელი და სამართლიანი მუშაობის ძალა მალე თითქმის მთელმა თბილისმა იცოდა. ცეკავშირის ტექნიკუმში ელგუჯა სულაშვილთან, ვაჟა და ვალიკო შოშიაშვილებთან ერთად ბაქოს სამხედრო სასწავლებელში გადავიდა სასწავლებლად. 23 წლის თვალტანად ახალგაზრდას ძალიან უხდებოდა სამხედრო ფორმა. სამუშაოდ ჯერ ქ. ლენინაკანში მოხვდა განაწილებით, შემდეგ — ქ.ქუთაისის ქართულ დივიზიაში. აქ ეწვია სიყვარული და ბევრი „საგმირო“ საქმეც ჩაადენინა. კუპრაშვილების ქალი იყო ნუნუ, მაგრამ ბებია თავადი-ყიფიანების ჩამომავალი ჰყავდა და სისხლით მოსდგამდა ქალბატონ ნუნუს სიღარიბის და თავდაჭერილობა. კარგად შეეწყნენ ერთმანეთს. ისე დაებერდით ერთად 57 წლის მანძილზე, ერთხელ არ მახსოვს მისი და ყ ვ ი რ ე ბ ა . მი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ ზოგადად ფიცხი ხასიათი აქვსო - გვიყვება დღესაც ქმარზე შეყვარებული ქალბატონი. პირველი ქალი შვილი თამილა უკვე ჰყავდათ, როცა ქუთაისის ქართული დივიზია დამალა და საცხოვრებლად გამარჯვებაში ჩამოვიდნენ.

მისი წინააღმდეგობის მიხედვად რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. იმ წლებში დაიწყო იმ დიდი კულტურის სახლის მშენებლობა, რომელიც დღეს სოფლის ცენტრში უფუნქციოდ დგას. ორგანიზატორული ნიჭი მამისაგან თანდაყოლილი ჰქონდა. ციმბირში, ქალაქ ირკუტსკში ჩაივინა და ხე-ტყის მასალა სულ იქიდან გამოგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცეკავშირის იყო მისი მუშაობით და სოფელსაც ძალიან უყვარდა, „წყალწყალა“ მაინც არ ისვენებდა, ნუნუ, უხერხულია, სოფელში ორი ბეჭედი და ორივე ჩვენს სახლში ინახებოდა. ამიტომ შალვამ სოფელი მიატოვა და „ბედის საძიებლად“ დედაქალაქს ეწვია. ჯერ მუშად დაიწყო მშენებლობაზე მუშაობა, მაგრამ მალე შეატყვეს, მეტი შესაძლებლობები რომ ჰქონდა და საწყობის გამგედ გადაიყვანეს. დრო იყო ისეთი, საწყობის გამგის პატიოსანი მუშაობა არავის რომ არ აწყობდა. მიხვდა, საშა-რო საქმე იყო და ისევ მუშად გადავიდა. ამასობაში ნაცნობთა წრე გაფართოვდა. მის ორგანიზატორულ ნიჭს და შესაძლებლობებს ყველა ამჩნევდა. მშენებლობიდან საქსოფლტექნიკის ბაზაში გადავიდა. იქიდან ცეკავშირის მომარაგების ბაზის დირექტორად გადაიყვანეს, მერე კი სამართველოს უფროსად. რომ იტყვიან, ტაკიათა იყო მასზე, რადგან დიდ ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად, კარგი ადამიანური თვისებების მატარებელი, ერთგული და უღალატო იყო როგორც საქმის, ასევე ადამიანების მიმართ. კარგა ხანს ავტოტრანსპორტის სამინისტროს ტექნიკოპროექტების ბაზაში მუშაობდა, მერე ავტოპროექტის მომარაგებელი ბაზის დირექტორი იყო. ერთხანს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო სამართველოს ხე-ტყის ბაზის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. ბოლო 12 წელი კი ქალაქ თბილისის მერიის სამეურნეო სამმართველოს უფროსი გახლდათ. სწორედ აქ შეარქვეს ზედმეტსახელად „პაპა“ - ეს მის გვარსა და წარმომავლობას უკავშირდებოდა.

- ჩვენც ნიკო ფიროსმანაშვილის შტოს - ხოკიანებს ვეკუთვნი. როცა კი სადმე წვეულებაზე მოვხვდებოდი, ყოველთვის შეკვეთას ვაძლევდი და „ნიკალა პაპას“ ვამღერებდი. ქალაქის მაშინდელმა მერ-

მა ნიკო ლეკიშვილმა შემარქვა ეს სახელი. ის თავადაც შესანიშნავად მღერის და ძალიან უყვარდა ეს სიმღერა, - გვიყვება შალვა და იმ უამრავ შეხვედრას და სასიკეთო საქმეს იხსენებს, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. დედაქალაქის ხუთი მერი გამოიცვალა და არც ერთთან ურთიერთობები არ გასჭირვებია, ყველა მათგანისათვის სასურველი კანდიდატურა იყო, რადგან მთელი კოლექტივის სული და გული იყო, მართალი, პატიოსანი და ერთგული თავისი მოვალეობის შესრულებისას. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და 70 წლის ასაკში ბატონმა შალვამ გადაწყვიტა, რომ ხანგრძლივი და მრავალფეროვანი შრომითი საქმიანობის შემდეგ დასვენების დრო იყო. დაუბრუნდა მამისეულ სახლს გამარჯვებაში, სადაც წელიწადის მეტ დროს ატარებს. ზამთარში კი დედაქალაქში სავარულ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთადაა. მისი ორივე ქალიშვილი ამჟამად ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს. თამილა პროფესიით ეკონომისტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეკონომიკის სამინისტროში მუშაობდა, მაგრამ ექვსი-შვიდი წლის წინ ვილაც-ვილაცებს მისი თამამი და სამართლიანი განცხადებები და პოზიცია არ მოეწონათ და ჩვეულებისამებრ „შტატების შემცირებაში“ მოახვედრეს. არაფერს უკითხავს, როგორი სპეციალისტი ან თანამშრომელი იყო. სამუშაოდ, ასეთი რამ არც თუ იშვიათობა გახლდათ. მეორე ქალიშვილი ნანა გერმანისტი. მისი მეუღლე ნოდარ ცორიკიშვილიც წარმოშობით ქიზიყელია, ქვემო მაჩხაანისა. კომპოზის სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზიკის მეცნიერებას დაეუფლა. ახლა თავისი ბიზნესი აქვს. ნანა და ნოდარი ორ ნიჭიერ და კარგ ქართველს უზრდიან ქვეყანას. თამარი ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის კურსებს გადის, გიორგი კი იქვე ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს. ლამაზი, ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდები არიან, პაპის და ბებოს უსაყვარლესი შვილიშვილები.

- პაპა სულ ჭკუას გვარბიებს, ცხოვრების სირთულეებთან გამკლავებისკენ მოგვიწოდებს, ამბობს, ცხოვრებას უნდა ეჭიდაო, ხან ის გაჯობებს, ხან-შენ, ხან ალმა მოგიცევს, ხან — დაღმა, საინ-



ტერესოც ამით იქნებაო. მყარი ცოდნის მიღებასა და ერუდიციას ძალიან აფასებს. თავადაც ხომ სამხედრო განათლების მქონემ, საპასუხიბელო თანამდებობაზე მუშაობის და უდროობის მიუხედავად, მაინც შეძლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრება. ნუნუ ბებო კი სულ კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს და მიმტველებლობას გვიქადაგებს. ორივე ჩვენი „მეგობარია“ და ძალიან გვიყვარს — ამბობს გიორგი.

- მთელი სიცოცხლე სიკეთის კეთებას ემსახურებოდა. არ კითხულობდა, იმას-ოვრებდა თუ არა ვინმე მის სიკეთეს, მის გარშემო თუ ვინმეს უჭირდა, თავს ვალდებულად თვლიდა, მის გვერდით ყოფილიყო. იყო იმედი და-ძმების, ახლობლების, კოლეგების, მეზობლების, მეგობლების, ნაცნობების და უცნობებისაც კი. დაგროვილი ფული არასდროს გვექონდა, ყველას ახმარდა და, მართლაც, ბევრჯერ გვიგრ-

ძენია უფლის თანადგომა, - ახსიათებს მეუღლეს ქალბატონი ნუნუ.

- ამ ოთხი-ხუთი წლის წინ რუსთაველზე მივდიოდი. ოპერის წინ მანქანის მუხრუჭების სამინელი ხრჭალი გაისმა და ხალხმა ჩოჩქოლი შექმნა. მერე დაიძახეს, გადარჩაო, ყველამ შევებით ამოვილუნთქეთ და გზა განვაგრძეთ. რამდენიმე წუთში ვილაც ქლომინით დამენია, მხარზე ხელი დამადო და შემაჩერა. ბატონო შალვა, მოპირდაპირე ტროტუარიდან დაგინახეთ და ისე მინდოდა თქვენთან შეხვედრა, გზის უადგილო ადგილზე გადამოკვებისას კინადამ მანქანამ დამარტყა, მერე სირბილით ძლივს წამოგენიეთ. რამდენი წელია, მინდოდა შეგხვედროდით და მადლობა მეთქვა, ის რაც თქვენ ჩემთვის, უცხო ადამიანისათვის გააკეთეთ, ბევრს არ შეუძლია გააკეთოს. დღეს მე თავზე ჭერი მაქვს და ცოლ-შვილში ვხარობ. გმადლობთ, დიდი მადლობაო. მე ცოტა გაოგნებული ვუყურებდი, რადგან ვერ ვიხსენებდი, ვინ იყო. არ გახსოვართო, ჩამეკითხა. ისეთი გულწრფელი იყო, გულს ხომ არ ვატყენდი, როგორ არა-მეთქი, ვუთხარი, კაცი კაცი თარის, ღმერთმა კარგად გამყოფოთ მეთქი და გავცილდი. სად წამოგენევა შენს მიერ გაკეთებული სიკეთე თუ ბოროტება, კაცმა არ იცის — მეთქი, ამყვა ფიქრი და.. სიკეთის ქმნას მაინც არაფერი სჯობია - ამბობს ბატონო შალვა და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მრავალ საინტერესო ამბავს გვიყვება. ყველაზე საამაყო კი რაც მას აქვს, მის საძინებელ ოთახში მამის სურათის გვერდზე ჰკიდია. ის იოსებ სტალინის მადლობის ღია ბარათია, რომელშიც ვკითხულობთ:

„წითელწარის რაიონის სოფ. უზუნდარა.

უდაროვის სახ. კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს

ივანე იოსების ძე ფიროსმანაშვილს!

მადლობა უდაროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს და პირადად თქვენ, ივანე იოსების ძე, წითელ არმიანზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

ამ ყველაფრის უკან კი სწორედ რომ სიკეთე დევს, როცა საკუთარი დანაზო-

გით „წყალწყალამ“ ორი ტანკი იყიდა, სოფელში ერთი ვაგონი სურსათ-სანოვარე და თბილი ტანსაცმელი მოაგროვა და ფრონტზე გაგზავნა. ჰოდა, აბა რა გასაკვირია, ასეთი ტრადიციის ოჯახში გაზრდილიყო ისეთი კაცური კაცი, როგორიც ბატონი შალვა ფიროსმანაშვილი გახლავთ. კვლევაც სიმხნევეს, სიცოცხლეს და სიხარულს ვუსურვებთ მას თავის ოჯახსა და დიდ სამეგობროსთან ერთად.

ნაირა გორაშვილი

**P.S. დიდხანს ვიფიქრე, გამეზილა თუ არა, რომ ეს კაცური კაცი, მადლობა უფალს, ჩემი ნათლიაა და თუ კადნიერებად არ ჩამითვლით, სწორედ მან დამანათლა მხნეობა, მიზანსწრაფულობა, ცოტაოდენი ორგანიზაციული ნიჭი და კაცთმოყვარეობა, რომელიც ჩემი ცხოვრების კრედაა. მინდა, დიდხანს იცოცხლოს და მეგულე-ბოდეს იმედად.**



# „მოვსულვართი უანი უვილაზი“

ცერანი დილა გათენდა წელს „ფიროსმანობის“ დღესასწაულზე, მაგრამ მოუხედავად ამინდის, ჩვენმა ხალხმა კიდევ ერთხელ მოიხარა ქედი ნიკო ფიროსმანის გენის ნინამე. ფიროსმანობაზე მისვლით კიდევ ერთხელ მაგვს პატივი კაცს, ლეგენდას, კაცს, რომელმაც საქართველოს მსოფლიოში გაუთქვა სახელი. კაცმა, რომელმაც თავისებური სიყვარულით, მეგობრობით, ერთგულებით, თავისებური ცხოვრებით იცხოვრა და მოკვდა, მაგრამ მისი გენი დღესაც ცოცხლობს დღემდინაზე.

დაბ, სიცოცხლეში მიკიტების მოვალე ნიკალა, კაცობრიობის ნინამე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და საშვილოშვილო საგანძური დაუტოვა ქართულ საზოგადოებას. 27 ოქტომბერს, შემოდგომის მეორე თვის მინურულს, ჩვენმა რაიონმა და სრულიად საქართველომ, ტრადიციას არ უღალატა და მირზაანში, ფიროსმანის მშობლიურ სოფელში, ერთხელ კიდევ გაიხსენა დიდი ნიკალა. გენიალური მხატვრის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით, წელს, განსაკუთრებული ფიროსმანობის დღესასწაულისთვის იყო მომართული სრულიად საზოგადოება, ამ დღეს სოფელ მირზაანს კახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი ზურაბ ჭიბერაშვილი და ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა კედელაშვილი სტუმრობდნენ. აქვე გახლდათ პოეტი მარინე ცხვედიაშვილი, რომელსაც პროფესიით მხატვარი მეუღლე ჯემალ კუხალაშვილი და არაერთი ხელოვნებათმცოდნე ახლდა თან. სტუმრებს მასპინძლობას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი უწევდნენ.

საზეიმო ცერემონიას, რომელიც ტრადიციულად ახალი მუზეუმის შენობის წინ გაიმართა, დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი უწევდა ორგანიზებას. ღონისძიება ახალგაზრდა წამყვანებმა ქეთევან შანშიაშვილმა და დავით ბუჭაძემ ლაღო ასათიანის ნიკო ფიროსმანაშვილზე დაწერილი ლექსების წარმოთქმით გახსნეს, რომლის შემდეგაც ჩვენს რაიონში მოქმედ ანსამბლებს მოუხმეს სცენაზე.

ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა ნებისმიერი ფიროსმანობა, კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლ „ხორნაბუჯის“ სიმღერების გარეშე, რომლის კეთილმოეხანა და ძარღვიანმა ქართულმა ხმამ სხვანაირად გაათბო მხატვრის ეზოში მოხეივთა გულები.

სიტყვა გადასცეს პოეტს, არბოშიკის მინის შვილს, არაერთი ლექსების კრებულის ავტორს, ფიროსმანზე შეყვარებულ ქალბატონს, ქალაქ რუსთავის მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეს მარინე ცხვედიაშვილს, რომელმაც წაგვიკითხა საკუთარი ლექსი ფიროსმანზე. სიტყვები წარმოთქვეს ხელოვნებათმცოდნეებმა და კულტურის სააგენტოს წარმომადგენ-



ლებმა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართულ ხალხური ცეკვის ანსამბლები - „იმედი“, „შირაქი“ და „ხორნაბუჯი“. სამივე ანსამბლმა ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ ლამაზი ნომრები წარმოადგინა, რომელიც პირდაპირ ქართული გენის მთავარ არტერიაზე გადის. ანსამბლმა „შირაქმა“ (ქორეოგრაფი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) არნახული „ფარეკაობა“

დადგა, შეუდარებელი იყო ანსამბლ „იმედის“ გამოსვლა (ქორეოგრაფი ზვიან ზუბაშვილი), რომელმაც ცეკვა „აჭარულით“ გვასახელა, ხოლო ანსამბლმა „ხორნაბუჯმა“ (ქორეოგრაფი ლევან ზუნაშვილი) ცოცხალი მუსიკის თანხლებით ცეკვა „ქართულით“ მოგვანონა თავი. საესტრადო სიმღერები შესარულეს ახალბედა და ნიჭიერმა გოგონებმა. თავისუფალ საქართველოს მიუძღვნა სიმღერა ანა ჩალახეშაშვილმა. მია წყნეთელის სიმღერა შესარულა ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა მაღლინა ისმაილოვამ. ქალაქიდან სტუმრად ჩამოსული გახლდათ ანსამბლი „ფიროსმანი“, რომელიც ასევე თავისი მრავალხმოვანი სიმღერებით გვატკბობდა.

ტრადიციას არ უღალატა დედოფლისწყაროს ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სამხატვრო სკოლამ, (ხელმძღვანელი აკაკი მერაბიშვილი) და ეთნოგრაფიული მუზეუმის წინ მისმა მინავლებმა მოლბერტებით ხელმომარჯულებმა შესარულეს სხვადასხვა ჟანრისა და



რამდენიმე ადგილას იდგა ლუდის ჩამოსასხმელები, სადაც ყველა მსურველს შეეძლო უფასოდ მიერთვა ლუდი. სწორედ ამან გამოიწვია, რომ ლუდით შეზარხიშებული მოზარდები, რამდენიმე ინციდენტშიც გაეხვივნენ.

საბოლოო ჯამში, მშვენიერი ფიროსმანობა იყო, თუმცა წლებიდანელი ფიროსმანობა არ ჰგავდა წინანდელ შთამბეჭდავ და გრანდიოზულ სანახაობას, ალბათ უამინდობის გამო, ხალხმრავლობაც ნაკლებად შეინიშნებოდა. იყო უამრავი ნოჟანსი, რის გამოც თავისებური ხიბლი აკლდა მირზაანს. აღარსად იყო მოწვეული ფაცხები, აღარც მეთიხები ჩანდნენ სადმე, არც ჭიდაობა გამართულა ამ ფიროსმანობაზე ნიკალას ეზოში და აქედან გამომდინარე, არც ფალავანი შეურჩევიათ.

იყო მწვადიც და ხინკალიც, ოღონდ არა ნაღდი და იქვე სახელდახელოდ მოხვეული, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა ხოლმე, არამედ გაყინული და მოჭყუებული. არადა, ნიკალა სიყალბეს ვერასოდეს ეგუებოდა, მისი გული მთელი არსებით სიალალეს ემსახურებოდა და რომ არა ეს გულწრფელობა, ალბათ არც დაბადებოდა მისი ენით აუნერული შედეგები „ნარაფები“, „მარგალიტა“, „მწილიარე ქალი“, „მწყემსი“, „თამარ მეფე“ და კიდევ ვინ მოსთვლის მსოფლიოში გაბნეულ მის გენიას.

## ლალი მისრისპილი

„ფიროსმანობის“ სახალხო დღესასწაულის დასრულების შემდეგ, გაზეთი „შირაქი“ სოფელ მირზაანში მყოფ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს გაესაუბრა და მათი შთაბეჭდილებებითა თუ მოსაზრებებით დაინტერესდა.

**მარიამ ცხვედიაშვილი (პოეტი):** „ჩემთვის ფიროსმანი არის სიმბოლო ნიჭიერების, ხალხურობისა და ყოველგვარი ამაღლებულის. თუნდაც იმიტომ, რომ დავიბადე და გავიზარდე მირზაანთან ახლოს, სოფელ არბოშიკში. დღეს, აქ რომ მოვედი ერთი ჩემი კლასელი შემხვდა და ერთად ვიხსენებდით, ამ სერზე შატალოზე როგორ ამოვიბრუნდით ხოლმე. გუშინდელი დღესავით მასსოვს, რომ ჩვენი ვის ბავშვობიდანვე ყველაზე სანუკვარი ადგილი იყო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში. დილით რომ გათენდებოდა და ჩემი სახლის აივანზე გადმოვდგებოდი, პირველად ფიროსმანი მეგებოდა. დღემდე ეს სიყვარული, რა თქმა უნდა, არ გამწვანებია და ჩემს შემოქმედებამაც ბევრი ლექსი მიმიძღვნა ფიროსმანისთვის და დავმტკბარვარ მისი შემოქმედებით. ამას გარდა, მე ისეთ ოჯახში ვცხოვრობ, სადაც ხუთი მხატვარია. ჩემი მეუღლე, შვილები... თითქმის არ გავა დეე, რომ რაღაც კუთხით არ შევეხოთ ნიკალას. ვინ იცის, მერამდენედ მოეხვდი ამ დღესასწაულზე. დღევანდელ დღესაც არ მიემძღო, არ ჩამოვუსულიყავი და პატივი არ მიმეგო მისთვის. დიდი მადლობა უნდა გადავუხადო მუზეუმის ახალ მმართველს ქალბატონ ნელი გობეჯიშვილს, რომ ასე მშვენიერად ჩააზარა ეს დღე. თქმეცა, ჩემი და ჩემი მეგობრების გულსტყვილი გახლავით ის, რომ ნიკალა იმ დღის შემთხვევით, რომ 150 წლის საიუსტიციო თხარელი უფრო მასშტაბურად უნდა ჩატარებულყოფილი. ვფიქრობ, ეს ოქტომბრის მასშტაბით უნდა გვეხებინა, როგორც ნიკალას ეკადრებოდა. რაც ქალბატონ ნელის და რაიონის შესაძლებლობების ფარგლებში იყო ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ნიკალა ის შემოქმედი, ეს თარიღი სხვა მასშტაბებს იმსახურებდა.

**პრობლემებს შეეხებთ და მოგვხსენებთ, რომ დღეს სოფელ მირზაანს ძალიან უჭირს. თვალშისაცემია მიგრაციის პრობლემა. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ამ სოფელში იმის პოტენციალი, რომ ტურიზმის განვითარებით მირზაანს გაძლიერდეს?**

– ძალიან რთული პრობლემა და მრავალმხრივ უნდა განვიხილოთ. ალბათ, ტურიზმის განვითარება ერთერთი საფუძველი უნდა იყოს იმისა, რომ სოფელი გაცოცხლდეს. მუზეუმს ძალიან დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

ვფიქრობ, რომ ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს, რადგან მუზეუმამდე მისასვლელი გზა ძალიან დიდ უხერხულობას ქმნის. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუზეუმს. სოფელში, რაც ყველაზე მთავარია, სოფლის მეურნეობა წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული, ხალხი დასაქმდეს, გაუჩნდეს შემოსავალი და მაშინ მიგრაციის პრობლემა აღარ იქნება. ამას დიდი გულისტკივილით ვამბობ, რადგანაც, როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელ არბოშიკში ჩავდივარ, იქაც ახალგაზრდა პირობები იყვნენ. სოფლები ფაქტობრივად მოხუცების ანაბარა დარჩენილი. იქ თუ მუშახელი არ არის, იქ თუ ახალგაზრდობა არ ცხოვრობს და მათ თუ სათანადო პირობები არ აქვთ, თუკი სამუშაო ადგილები და შემოსავლის წყარო არ იყო, ასე სოფლის აღორძინება და ყველანაირი პროგრესი ყოველად წარმოუდგენლად მიმაჩნია. აი ახლაც, ჩემი მეგობრები და ხელოვანი ადამიანები ვსაუბრობდით, ვამბობდით, რომ ასეთი დღეები, როგორც ფიროსმანობა, წელიწადში რამდენიმეა. ჩნდება კითხვა, რა სულიერი საზრდო გვაქვს. ყველაფერი ჩამკვდარია... მეჩვენება, რომ ადრე უფრო მეტი სულიერი საზრდო ჰქონდა საზოგადოებას. ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება. დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლება ამ საკითხებს მიხედვით და მათი პროგრამა სოფელს ახალგაზრდობას დაუბრუნებს. ბევრი აქედან სხვა ქალაქებშია წასული. დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი თავის მინა წყალს დაუბრუნდება, თუკი იქნება რეალური პირობები იმისა, რომ ხვანაძეებს მიჰყოს ხელი, იმუშაოს და სოფელსაც მიხედოს და ოჯახსაც. ჩემი აზრით, ეს იქნება სოფლის გაძლიერებისა და ქვეყნის გადარჩენის გზა.“

### ჰამამალ კუხალაშვილი (მხატვარი):

ტრადიციულად მირზაანს ამ დღესასწაულზე ყოველთვის ესტუმრობთ ხოლმე, ამჯერადაც მონაწილე ვიყავით ამ სახალხო ზეიმზე. როდესაც მირზაანს და ფიროსმანის სამყაროს მოუხმავდით, მომეჩვენა, რომ ყველაფერი მის ნახატებს დაემსგავსა, ისე იყო ნისლი ჩამალული მირზაანის ლამაზი მთები, თავისი ბრინჯაულის ხეებით. გაეჩრდილ და ეს ყველაფერი შევიმეცნეთ. ბედნიერი ვარ, რომ ეს დღე-ღამე უნდა არსებობს და ეს დღე ეგმაყება. ვამბობდი, რომ როგორც რუსთაველმა გააპოეტა საქართველო, ასევე ფიროსმანმა გაამხატვრა ჩვენი ქვეყანა. ის სიმბოლოდ იქცა, არ არსებობს საგანი, სადაც არ ვეძებდეთ ფიროსმანს. ჩვენში ის შემოსულია, როგორც ორგანული

### შინარსის ნახატები.

ღონისძიების სპონსორი გახლდათ რესტორნების ქსელი „მირზანი“, რომლის წარმომადგენელმა, ცნობილმა რადიონამყვანმა ბეგი ლოგუამ სცენიდან სიტყვით მიმართა მოსახლეობას და ლუდის სმამი კონკურსი გამოაცხადა.

საერთოდაც, იმ დღეს ფიროსმანის ეზოში

წაწილი. მე, როგორც მხატვარი, რა თქმა უნდა განვიცდი ფიროსმანს. ვცდილობ, რომ მას არ დავემსგავსო, თუმცა ადრეულ წლებში ნებსით, თუ უნებლიედ, მქონდა მისი გავლენა... მოხარული ვარ, რომ ასეთი კაცისგან ესწავლობთ, თუნდაც იმას, თუ რა არის უშუალოდ. მსოფლიოში არიან სხვადასხვა მიმდინარეობის ძალიან საინტერესო მხატვრები, თუმცა ფიროსმანის ხედავ სულ სხვაა. ასეთი ხედავ და ასეთი სამყარო მხოლოდ ფიროსმანს გააჩნია. მიხარია, რომ 150 წლისთავსადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმს ვესწრები. თუმცა, მოხარული ვიქნებოდი, რომ აქ უფრო მეტი ხალხი მოსულიყო. ალბათ, პოლიტიკური ვითარების გამო არის შედარებით მცირე მასშტაბები.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ადგილას მხოლოდ ქართული მხატვრობა კი არ არის წარმოდგენილი, არამედ, შეიძლება ითქვას, ფიროსმანმა შექმნა მხატვრობის მხატვრობა... ჩვენ ნიჭიერ მხატვრებს რა დავგილევს, მაგრამ ეს არის სრულიად სხვა სამყარო. ქართულ მხატვრულ აზროვნებას შეემატა რაღაც ისეთი, რაც ენით უთქმელია. ეს მსოფლიო საზოგადოებამ კარგად შეიმეცნა... მოგვხსენებთ, პაბლო პიკასომ ფიროსმანის გამოფენაზე იცეკვა! ეს კი ასეთი უბრალო ამბავი არ გახლავთ. როდესაც პიკასოს ეუბნებოდნენ გამოფენა გაეკეთებინა მაშინდელ საბჭოთა კავშირში, ის პასუხობდა, ჯერ მიხედეთ ნიკო ფიროსმანის ვილსო. ფიროსმანზე ასეთი აქცენტი კეთდებოდა უდიდესი მხატვრების მხრიდან. მაგრამ ნიკალას გენიალურობას მხოლოდ იმ კუთხით ნუ შევხედავთ, რომ რომელიმე მისი ნამუშევარი რამდენიმე მილიონად შეფასდა. ეს ყველაზე მცირე და დაბალი ფასებია. ფიროსმანი ჩემთვის მხოლოდ მხატვარი არ არის, ის ჩემი და თითოეული ქართველის ცხოვრების ნაწილია. ნიკალას სოფელში ტურიზმის განვითარებას რაც შეეხება, ყველა ქართველი უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი ინტელექტის განვითარებისა და დასვენებისთვის, შვილები წამოიყვანოს და შეიმეცნოს. ეწვიოს იმ ადგილს, სადაც ნიკალას ფეხი დაუდგამს.

**რა პრობლემებს ხედავთ ამაჟამად მირზაანის მუზეუმში?**

– პირადად მე საგამოფენო დარბაზის შე-

ნობა არ მომწონს, ციხესავით არის, რატომღაც სარკოვავს მაგონებს... თანამედროვე მუზეუმს სხვა სახე სჭირდება. ფიროსმანის მუზეუმი წარმომადგენია, მაგალითად, როგორც თეთრი დუქანი. თავისი გაფორმებით, ფიროსმანის აბრებით, არდნით, მედლეუკებით, გაეცაცოცხლებდი იმ ხანას. ეს კი არქიტექტურულად ვერ ამართლებს, არაფერს არ გვაძლევს ბეტონის შენობა. შევედივართ უშაქრო სარკოვავში. სულაც არ ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ აქ ასეთი დიდი ქართული, ეროვნული სიღრმე იხსება.



**როგორც მაღლაკალიძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უკუბრტე-ზედამხედველი):** „სააგენტოს მიერ პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა. ყველაზე მეტად მემორიალურ სახლს სჭირდება დახმარება და რაც ყველაზე მთავარია, ნიკალას სახლი მშვენიერად გამოიყურება და თავისი ავთენტურობა შენარჩუნებული აქვს. ყველაფერი ზუსტად ისევე აღდგენილი, როგორც ფიროსმანის დროს იყო. რაც შეეხება დანარჩენს, სააგენტო დანარჩენ სამუშაოებსაც ეტაპობრივად განახორციელებს. იმიტომ, რომ ეს მუზეუმი უნდა იქცეს ტურიზმის დიდ ცენტრად. იმედი მაქვს, რომ ეს უღამაზესი ადგილი, სულ მალე, დიდი ნიკალას სამშობლოში ტურისტული მეტა გახდება.“

**– იმ სახით, როგორც მირზაანში ფიროსმანობა აღინიშნება, რამდენად საინტერესოა ეს ყველაფერი უცხოელი ტურისტებისთვის?**

– ალბათ, თანდათან უფრო დაინტერესება და სხვა იერსახე მიეცემა ამ ყველაფერს. დიდი მონივნებით მივულოცავ დედოფლისწყაროს და სოფელ მირზაანის ყველა მაცხოვრებელს, სრულიად საქართველოს, ნიკალას ამ დიდ ოუბილეს და მადლობა თქვენს გახეთს, ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისა და რეაბილიტაციის პროცესის აქტიური გამუქებისთვის. თქვენი როლი ამ საქმეში მართლაც მნიშვნელოვანია.“



დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში 31 ოქტომბერს სოფელ სამრეკლოში მდებარე სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მოძღვართან მამა გაბრიელ ბენიადიქსთან შეხვედრა გაიმართა. სასულიერო პირი სკოლის მოსწავლეებს ესაუბრა, თუ როგორ უნდა წარმართონ თავისი სულიერი და ფიზიკური ცხოვრება, რა არის ამქვეყნად ცუდი და რა კარგი.

მოგვიანებით, შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და მამა გაბრიელმა დამსწრე საზოგადოებისა და მოსწავლეთა კითხვებს უპასუხა.

როგორც მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მოსწავლეთა შორის სპეციალური კვლევა ჩატარდა, სადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს სასულიერო პირებთან ბევრ საკითხზე ჰქონდათ კითხვები. მისი თქმით, ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში რელიგია აღარ ისწავლება, არც ფსიქოლოგის შტატი არსებობს, რის გამოც მოსწავლეთათვის დანაკლისის შევსებას ამიერიდან ამგვარი შეხვედრებით შეეცდებიან.

შეხვედრას მოსწავლეთა დიდი ნაწილი ესწრებოდა, უმრავლესობამ აზრის გამოთქმისა და კითხვის დასმის სურვილი გამოთქვა. მოსწავლეებს ძირითადად

დათ კითხვები, რაზეც ამომწურავ პასუხებს იღებდნენ. აუდიტორიიდან კითხვები დაისვა ავტორიტეტების არსებობის, კომპლექსების, ძალადობის შესახებაც.

„ახლაზან, ჩვენი სკოლის ბავშვებთან კვლევა ჩავატარეთ და გამოვლინდა გაცილებით აქტიუალური კითხვები, რომლებიც მათ აწუხებდათ და პასუხი აინტერესებდათ. გვინდა უახლოეს დღეებში ფსიქოლოგიც მოვიწვიოთ. ჩვენი მიზანი იყო ის, რომ მოზარდებში სულიერება ამალდეს, მომავალ თაობას მიტევება ვასწავლოთ. სამწუხაროდ, რელიგია აღარ ისწავლება, არც ფსიქოლოგი ჰყავს სკოლას და საჭიროდ ჩავთვალეთ ისეთი ღონისძიება ჩაგვეტარებინა, სადაც ამ კითხვებზე კომპეტენტურ პასუხებს მიიღებდნენ და ისეთ თემებზე ისაუბრებდნენ, რასაც გაკვეთილზე ვერ მოისმენენ. არადა, დამეთანხმებით, რომ

# მეორე სკოლამ მამა გაბრიელთან საჭირობოროტო საკითხებზე შეხვედრა გამართა

შეხვედრაზე განხილული საკითხები უდაოდ საჭირობოროტო და აქტიუალური იყო. მოსწავლეები ძალიან აქტიურობდნენ. საუბარი შეეხო ძალზე საინტერესო საკითხებს. მაგალითად: რას ურჩევს ეკლესია ავტორიტეტებს, ასევე როგორ უნდა მოიქცნენ ნიჭიერი ბავშვები, ხიბლში რომ არ ჩავარდნენ. ეს ყველაფერი ეკლესიამ ბავშვებს ძალიან კარგად აუხსნა. ჩაცმის კულტურაზე იყო საუბარი, როგორ უნდა იცვამდნენ გოგონები და ბიჭები სკოლაში თუ ეკლესიაში. საბოლოო ჯამში, შემოიღო გულწრფელად ვთქვა, რომ ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა იყო, ჩვენი სკოლისთვის ამგვარი შეხვედრა უცხო



ნენ. გაზეთი „შირაქი“ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა.

„ბევრი რამ გავიგეთ ახალი, ამ შეხვედრიდან მართლაც ბევრი ვისწავლეთ, ბევრ ჩვენს მეცდომას მივხვდით და მამა გაბრიელმა ძალიან ბევრ რამეზე ჩავვაფიქრა. საბოლოო ჯამში შეხვედრამ ყველა ჩვენთაგანზე თუ არა, უმრავლესობაზე ნამდვილად იქონია პოზიტიური გავლენა, ეს კი უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია,“ — განაცხადადეს სკოლის მოსწავლეებმა.

შეხვედრის დასასრულს სკოლის მოსწავლეებმა საგალობელი შეასრულეს და მამა გაბრიელი მრავალუამიერით გაცილეს. სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს შეხვედრა ერთგურადი არ იყო და მომავალშიც მოინვევენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს ბავშვებთან სასაუბროდ.

ირაკლი კოკილაშვილი



იყო, ამ ტიპის აქტივობები ჩვენთან აქამდე არ ჩატარებულა. მიმჩნია, რომ მოზარდებში ასეთი შეხვედრები აუცილებელია,“ — აღნიშნა მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა. მამა გაბრიელმა ასევე ისაუბრა მოზარდების მიერ კომპიუტერის, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების გამოყენებაზე. მოძღვარმა ბავშვებს

აუხსნა, რომ ეს ყველაფერი უარყოფითი შედეგების გამოწვევი მამინ ხდება, როცა მას დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. მისი განმარტებით, მთავარია ყველა ეს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ და არა საზიანოდ. შეხვედრას დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი ტოვებდა. დადებით შეფასებებს განსაკუთრებით მოსწავლეები აკეთებდ-

## ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტი ჭაჭუნას ალკვეთილში

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობა დედოფლისწყაროში მდებარე ჭაჭუნას ალკვეთილის ტერიტორიაზე ცალკეული პროექტების განხორციელებას იწყებს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პროექტის „ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება იორ-მინგეჩაურის რეგიონის პრიორიტეტულ ტრანსსასაზღვრო დაცულ ტერიტორიაზე“ ფარგლებში WWF კავკასიის წარმომადგენლობამ უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის შეფასება საძოვრების მართვასთან დაკავშირებით და მოამზადოს მდგრადი და ინოვაციური მართვის გეგმა დაახლოებით 5 000 ჰა საძოვრებისათვის, რომლებიც მდებარეობს ჭაჭუნას ალკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

პროექტის მიზანია ეკოსისტემების ბიომრავ-

ბის სამინისტრო (BMZ) WWF გერმანიის თანადაფინანსებით.

WWF-ს კავკასიის წარმომადგენლობამ უკვე გამოაცხადა კონსულტანტების მიღება, საძოვრების მდგრადი მართვის გეგმის მოსამზადებლად.

სამუშაოს ხანგრძლივობა შედგენს 55 სამუშაო დღეს, 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ბოლომდე.

ჭაჭუნას ალკვეთილი წარმოადგენს წარსულში ჭაჭუნას სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ბაზაზე დაარსებულ დაცულ ტერიტორიას. ალკვეთილის საერთო ტერიტორია 5 200 ჰექტარია და იგი თბილისიდან 175 კილომეტრითაა დაშორებული.

ჭაჭუნას ალკვეთილში საკმაოდ მრავალფეროვანი ფლორაა. მდინარე იორის გაყოფაზე ტუგაის ტიპის ქალის ტყე იზრდება, ხოლო მის მიმდებარე გორაკებზე და ტერასებზე სხვადასხვა სახის არიდული ნათელი ტყეების, ნახევარუდაბნოსა და სტეპური მცენარეულობის ფრაგმენტებია წარმოდგენილი. ქალის ტყეებში აბსოლუტური დომინანტი მთრთილაკი ვერხვია. ასევე უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ქალის მუხა, საკმლის ხე — სალსალაჯი და წნორი. არიდული ნათელი ტყეების შემქმნაში საკმლის ხე, ლევის რამდენიმე სახეობა, ნითელი კუნელი, მუხა, პანტა და აკაკი მონაწილეობენ. მრავალფეროვანი და მდიდარი ჭაჭუნას ფაუნა. მწერებიდან მრავალად არიან კალიასებრნი.

ტუტუშწოვრებიდან ჭაჭუნაში რამდენიმე სახეობის მღრღნელი, ტურა, მელა, კურდღელი, ლელიანის კატა, ფოცხვერი, მაჩვი და გარეული ლორი ბინადრობს. მეცნიერები იმედს არ კარგავენ, რომ ალკვეთილში ჯერ კიდევ ცხოვრობს უნიკალური და იშვიათი ცხოველი ზოლებიანი აფთარი.

ილია მარტყოფილი

## პრეზენტაცია მეორე სკოლაში



ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის რამდენიმე დღის წინ პედაგოგთა სერტიფიცირების თაობაზე პრეზენტაცია გაიმართა. როგორც მეორე სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ტრენინგი ამავე სკოლის ერთადერთმა 1 000 ლარიანმა პედაგოგმა მარინა შანშიაშვილმა ჩაატარა.

„პრეზენტაცია დეტალურად გაიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აწარმოოთ მასწავლებლის პროტოკოლი. ასევე, დაინტერესებულ პედაგოგებს დანვრილებით მიეწოდათ ინფორმაცია პედაგოგთა სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მარინა შანშიაშვილმა პედაგოგებს თავისი გამოცდილება გაუზიარა. მას ეს არ ევალებოდა, თუმცა კეთილი ნება გამოიჩინა და პედაგოგებს დანვრი-

ლებითი ინფორმაცია მიაწოდა, რათა ჩვენი სკოლის გუნდი უფრო წარმატებული იყოს. ამ ნაბიჯს ორი დადებითი მხარე ჰქონდა, ერთი პედაგოგებისთვის და თავად მარინასთვის, რადგან მას კრედიტი დაემატა,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მეორე სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მეორე საჯარო სკოლის 27 პედაგოგიდან 10 მათგანი სერტიფიცირებულია. დირექტორის განმარტებით, დანარჩენი მასწავლებლების უმრავლესობას პირველი გამოცდა ჩაბარებული აქვს.

პედაგოგთა პროფესიული განვითარების ქსელში ჩართულ მასწავლებლებს შეუძლიათ კრედიტები 8 წლის განმავლობაში დააკროვონ.

ილია მარტყოფილი



ვალფეროვნების გაუმჯობესება იორ-მინგეჩაურის ტრანსსასაზღვრო პრიორიტეტულ კონსერვაციულ ტერიტორიაზე ქალის (ტუგაის) ტყის რეაბილიტაციის, დაცული ტერიტორიებისა და საძოვრების მართვის გაუმჯობესებისა და გადამენებული ჯვირნის რეინტროდუქციის გზით.

პროექტს ფინანსურად მხარს უჭერს გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარე-



# შემოდგომის ხვადი და ბარაქა №2 საბავშვო ბაგა-ბაღში

დარბაზის ერთ კუთხეში ურემი დგას, ურემი საესეა შემოდგომის ნობათით - ყვითელგვერდებ კომპეტით, ნითელი თურაშაულის ვამლებით, პირდაპინილი ბრონეულებით და კარალიოკებით. ურემის ერთ გვერდზე ქვევრია ნამოგორებული, წინ ნაირ-ნაირი ფერის გოგონები უწყვიან. იქვე გახარხებულ ჯოხებზე ყურძნის მტვენებია გადაკიდებული, ქვეშ მოწითული კალათები ალაგია. ირგვლივ უამრავი ფოთოლია მიმოფანტული, ფერად-ფერადი გიორგინებით საესე ლარნაკები მომხიბვლელად გამოიყურებიან. მოკლედ, შემოდგომის პეიზაჟის საოცარი დეკორაციაა შექმნილი, უამრავი ზეიმი დავათვლიერე სოციალურ ქსელში, უამრავი სკოლის და ბაღის ზეიმი, მაგრამ ამგვარი ლამაზი შემოდგომა, როგორც დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში იყო, ვერსად ვნახე. დიან, სწორედ ამ ოთხი-ხუთი წლის ბავშვებმა, რამდენიმე დღის წინ ამგვარად მორთულ დარბაზში შემოდგომის ზეიმი გამართეს, მათი პედაგოგი მათი გაგნაშეილი გახლავთ, ხოლო თანამეგობარი მარინე ჯორჯიანი. ღონისძიება საკმაოდ ორგანიზებული იყო, რაშიც დიდი წვლილი ბაღის ადმინისტრაციას და ამ პატარების პედაგოგებს მიუძღვით. ხმელი ფოთლებით ხელმომარჯვებული ბავშვები დარბაზში შემოდიან და მუსიკაზე ცეკვავენ. ხან გოგონები ცეკვავენ, ხანაც ბიჭუნები, მერე ლექსებს ამბობენ,

... „არაფერი შეგდრება, შემოდგომო კასეთს, ვისაც გჭვი გუპარებათ, მობრძანდით და ნახეთ, ადაზანის მწვანე ველზე გარკვეულად ვეფლავ, რთველი არის, რთველი არის, ვიწყობთ ვაზის კრუფას“ - მჭექარედ ამბობს გურამ გოგაშვილი. მას ლექსების თქმაში ტოლს არ უდებენ ლუკა, ირაკლი, მარიამი, ანანო და ნანიკო. შესრულდა ცეკვა „ქართული“ და „ბაღდადური“. არაჩვეულებრი-

ვი სანახავი იყო წყვილების მიერ შესრულებული ცეკვა „ცანგალა და გოგონა“. ბავშვების ქორეოგრაფიულ ნომრებზე მუდამ მათი ცეკვის მასწავლებელი მზია წყარუაშვილი ზრუნავს. არანაკლებად ასრულებდნენ პატარა აღსაზრდელები მუსიკალურ ნომრებს, რაშიც მათ მუსიკის პედაგოგის აზნა ლაპიაშვილის გავლენა ეტყობოდათ. აღსაზრდელებმა სიმბოლურად ჩამოკრიფეს ვაზზე ყურძენი და კალათებით მოაგროვეს შემოდგომის დოვლათი, შემდეგ კი, ღრუბლების, წვიმის და თოვლის როლები მიირგეს, რითაც გვამცნეს, რომ მალე აცივდება და ზამთარი დადგება.

მშვენიერმა სანახაობამ ძალიან მოგვხიბლა, თუმცა ყველაფერი ამით როდის დასრულდა, წინ კიდევ ლამაზი ცერამონია გველოდა, ეზოში დიდი ქვებით თათარა მზადდებოდა, მასში პატარებმა ძაფზე აბნეული ნიგოზი ამოავლეს და ჩურჩხლებით ხელში თათარის ქვების ირგვლივ კვლავ ლექსები და გამოცანები წარმოთქვეს. ღონისძიების დასასრულს ბავშვებმა აღმზრდელებთან და მეგობრებთან ერთად



სამახსოვრი ფოტოები გადაიღეს. ღონისძიებას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან სპეციალისტები წინო კვინინაშვილი და მარიამ ჭუბაბრია ესწრებოდნენ.

ლალი მხრიშვილი

# დროულად დადგენილი დიაგნოზი წარმატებული მკურნალობის გარანტია

რამდენიმე დღის წინ სამედიცინო ცენტრში „ექიმები თქვენს სამსახურში“ რომელიც ფიროსმანის ქ. №18-ში ყოფილი სტამბარედაქციის შენობის პირველ სართულზეა განთავსებული, საქველმოქმედო აქცია გაიმართა, რომლის მიზანი საქრიანი დიაბეტის და ქოლესტერინის მომატებული დონის გამოსავლენად, სკრინინგული კვლევა იყო. აღნიშნული კვლევის სპონსორი ფარმაცევტული კომპანია „ასფარმა“ გახლდათ, კვლევა სამედიცინო ცენტრის ექიმ-ენდოკრინოლოგ მარინა მხრიშვილთან ერთად „ასფარმას“ წარმომადგენელმა სოფო გორხელაშვილმა ჩაატარეს.

- ჩვენი ფარმაცევტული კომპანია უკვე მესამედ ატარებს ასეთი ტიპის აქციას თქვენს რაიონში, ამიტომ ჩვენ გვყავს ისეთი პაციენტებიც, რომელთა გამოკვლევაც პირველ აქციაზე მოხდა და მის შემდეგ მეთვალყურეობის ქვეშ არიან. ამჯერად კვლევისთვის შერჩეული იყო რისკის ჯგუფის პოპულაცია: - ქარბონიანი პაციენტები, კლიმაქტული ასაკის ქალები, პაციენტები არტერიული ჰიპერტენზიით, ფარისებრი ჯირკვლის დაქვეითებული ფუნქციის მქონე ადამიანები, გულის იშემიური დაავადების მქონე პირები (ანამნეზში გადატანილი ინ-

ფაქტი, სტენტირება).  
- ქალბატონო სოფო, სულ რამდენი პაციენტი გამოიკვლიეთ და როგორია შედეგები?  
- სულ გამოკვლეულია 70 პაციენტი, გამოვლინდა საქრიანი



დიაბეტის 3 ახალი შემთხვევა. გამოკვლეულ პირთაგან ქოლესტერინის ნორმალური მაჩვენებელი ჰქონდა მხოლოდ 11 ადამიანს. 59 შემთხვევაში დაფიქსირდა მაღალი ქოლესტერინი. აქედან 13 პირს ჰქონდა ზომიერად მომატებული დონე. მათი ქოლესტერინის მაჩვენებელი მერყეობდა 220 მგ.%-მდე. ნორმა კი შეადგენს 200 მგ.%-მდე.

46 პაციენტს აღნიშნებოდა მაღალი ქოლესტერინემია. მათი მაჩვენებელი აღემატებოდა 220 მგ.%-ს. მაღლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ მარინას აქციის კარგი ორგანიზებისთვის და მასპინძლო-

მოსახლეობის ფართო ნაწილისთვის საქრის დონის გაკონტროლება სიახლეს აღარ წარმოადგენს, რის გამოც დღესდღეობით იკლო საქრიანი დიაბეტის გამოვლენის დაგვიანებულმა შემთხვევებმა (დიაბეტური კეტოაციდოზი, კომა) ამას ვერ ვიტყვით ქოლესტერინის კონტროლზე. როგორც მოგხსენებთ, სისხლში ქოლესტერინის მაღალი მაჩვენებლები პირდაპირ კავშირშია ისეთი სერიოზული დაავადებების განვითარებასა და პროგრესირებასთან, როგორცაა გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ინფარქტი, ინსულტი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული მოშლა, საქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ქვემო კიდურების სისხლძარღვთა დაავადებები და ასე შემდეგ. ამდენად, ქოლესტერინის რეგულარული კონტროლი და შესაბამისად ჩატარებული მკურნალობა, მნიშვნელოვნად ამცირებს შემთხვევითი ჩამოვლილი დაავადებების გართულების რისკს. თქვენი გაზრდილი საშუალებით, მაღლობა გვინდა გადავუხადოთ ფარმაცევტულ კომპანია „ასფარმას“ აღნიშნული აქციის დაფინანსებისთვის, მოგესხენებათ, საქართველოში, დღესდღეობით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს

უჭირს სამედიცინო კვლევების დროული ჩატარება. სამედიცინო პოლისების დიდი ნაწილი არ აფინანსებს სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო მრავალ კვლევას, მაგალითად ქოლესტერინის, პოთრობინის, კოაგულოგრამის, კალციუმის განსაზღვრა სისხლში. საქველმოქმედო აქციების წყალობით ჩვენ მცირე წვლილის შეტანა შევძელით მოსახლეობის ჯანმრთელობის კულტურის ამაღლებაში, რადგან თამანემდროვე მედიცინის მიზანი არის დაავადებების დროული გამოვლენა, მისი სწორი მართვა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ცხოვრების სწორი და ჯანსაღი წესის საშუალებით მათი თავიდან აცილება.

ჩვენი სამედიცინო ცენტრი მომავალშიც გეგმავს მსგავსი საქველმოქმედო აქციების ჩატარებას. ჩვენ მივმართავთ არა მხოლოდ ფარმაცევტულ კომპანიებს, არამედ სხვა ორგანიზაციებსა და ქველმოქმედებით დაინტერესებულ პირებს, რათა ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროში სერიოზული რეფორმების გატარებამდე მცირედი წვლილი მანაც შევიტანოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში.

- გისურვებთ წარმატებებს.  
- გამდლობთ.

ნაირა გორაშვილი

**მონატრება**

**ქეთინო ბეროშვილი-გორიაშვილი**

ცრემლებით. 5 წელი ებრძოდი შენს ავადმყოფობას, მაგრამ, ვაი, რომ გაჯობა და სიცოცხლისთვის დაუოკებელი სურვილი უმალ ჩაგიკლა. ქეთინო, შენ იყავი უზომოდ კეთილი და მოსიყვარული. შენი გულწრფელობით და სათნო დამოკიდებულებით უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე, მეგობრების და ნაცნობების, ცრემლიც ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში, ჩვენ კი, დიდი სევდა და მხოლოდ წარსულის მოგონება დაგვიტოვე. უფალმა ნათელში გამყოფოს.

**შენი მეგობრები თამარ ამირანაშვილი და ლილი ჯორჯიანი**

„გაზეთ „შირაქს“ რედაქციის თანამშრომლები სამიძმარს უცხადებენ ლია, ირმა და მარია კვაჭაძეებს დედის

**ნათელას**  
გარდაცვალების გამო

მეუღლე: ციური, შვილები: გიორგი, მანანა, რძალი სვეტა, შვილიშვილები: ანანო, ლევანი, და ნაზი, ძმა ზემელა, სიდედრი: ნინა, ცოლისდა გულო, ძმიშვილები, დისშვილები იუნყებიან

**ლესტო გიკაშვილის**  
გარდაცვალებას.

დაკრძალვა 6 ნოემბერს 13:00 საათზე.

**გამოფენა მარიამ ჭიჭინაძის ხსოვნას მიეძღვნა**

1 ნოემბერს, თბილისის ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის ქეთი მხეიძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. ის ხელოვნების დიდი თაყვანისმცემლის ქ-ნ მარიამ ჭიჭინაძის გარდაცვალებიდან მეოცე წლისთავს მიეძღვნა. თავად მარიამი შესანიშნავად ქარგავდა, ქსოვდა კერავდა... მას უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა ისეთი უნიკალური ნივთების შექმნა, რომელიც გამოჩენილი მხატვრების შედეგებს ასახავდა. ეს ნივთები დღესაც მისი ოჯახის კერძო ბიბლიოთეკაში ინახება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოცდაათამდე ფერწერული ტილო, რომელშიც შემოდგომის ფერებით შეზავებული პეიზაჟები სჭარბობდა. დამთვალიერებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტემპერაში შესრულებულმა ახალმა ნამუშევარმა „სამოთხის კარი“, რომელიც ქეთიმ სპეციალურად ამ დღისთვის დახატა.

დარბაზში უღერდა ვივალის, სენ-სანსის, მენდელსონის, ლისტის და შოპენის უკუდავი მუსიკა.

როგორც ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა აღნიშნა: „ეს საშემოდგომო გამოფენა (რომლის ორგანიზატორი გახლავთ ჩვენი ოპერის მეგობარი, გარდაცვლილის შვილი ნანა ჭიჭინაძე) არის როგორც ქ-ნი მარიამის ზოგადად ხელოვნების ყველა მოყვარული ადამიანის და უპირველესად უძვირფასესი დედის გახსენების და პატივმიცემის გამოხატულება. ნათელში იყოს მისი სული“.

**ილია მარტყოფიშვილი**



# შადრევანმა მოლოდინს გადააჭარბა

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური მოედანი ულამაზესი, ფერადი განათებით გაფორმებულმა შადრევანმა დაამშვენა. ის 27 ოქტომბერს, ფიროსმანოვის დღესასწაულის საღამოს ამუშავდა.

შირაქმა ადგილზე უამრავი დამთვალიერებელი დააფიქსირა, რომლებიც ფერად შადრევანთან ფოტოსურათებს იღებდნენ. მოსახლეობა აცხადებდა, რომ შადრევანი მოსალოდნელზე ულამაზესი გამოვიდა:

„ლამაზი რომ იქნებოდა ვიცოდით, თუმ-

ცა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნამდვილად არ ველოდით, თუ ასე ლამაზი იქნებოდა. ეს რომ დაგინახეთ, თავი სხვა ქალაქში გვეგონა, მანქანა გავაჩერეთ და ფოტოების გადაღება დავიწყეთ, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ბევრი მოქალაქე მოდის და შადრევანთან სამახსოვრო სურათს იღებს.“ — აცხადებენ დედოფლისწყაროელები.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „დიდოსტატი-1“ აწარმოებდა.



გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე შადრევანის მოსახლეობად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 56 000 ლარი გამოიყო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, სამონტაჟო სამუშაოებზე ადგილობრივი მუშახელი დასაქმებული არ იყო. შეგახსენებთ, ქალაქ დედოფლისწყაროში რამდენიმე თვის წინ შედარებით მცირე


ზომის შადრევანი გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზეც გაიხსნა, რომელიც ახალგაზრდების დასვენების საყვარელ ადგილად იქცა. ის ახალგაზრდები, რომლებმაც ზაფხულის ცხელ დღეებში დასასვენებლად წასვლა ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლეს, თავს სწორედ ამ ადგილას იქცევდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

**თუ თქვენ სახსრების ტკივილი გტანჯავთ, გახსოვდეთ, რომ ლაზერი სახსრების მკურნალია!**

სახსრების დაავადების მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, შედეგი კი ერთი: კლინიკი, მუდმივი ხასიათის ტკივილი, მოძრაობის შეზღუდვა. ამით შორის ხერხემლის რადიკულიტი. ყოველივე ეს ხშირად აინვალიდებს ადამიანს. ავადმყოფი იძულებულია, წამლები მიიღოს და ღრობით მანძი იტაროს შვება.

წამლების მუდმივი მიღების შედეგად ზიანდება კუჭ-ნაწლავი, ჩნდება წყლულები, ეროზია, სისხლდენები, ეროზიული კოლიტი, პანკრეატიტი. ღიზიანდება ნაღვლის ბუშტი, რაც უფრო უჭირს საჭმლის მომზადებას სისტემას, მით უარესდება წამლის ათვისებას ორგანიზმის მიერ. **გვერდით კიდე არ იცის, რომ სახსრების დაავადებების ალტერნატიული მკურნალობის მეთოდი არსებობს: - ეს ლაზერითარაპია!**



ლაზერს კიდევერთი უნიკალური მოქმედება აქვს: სახსრების პრობლემასთან ერთად ის გაუმკლავდება გვერდის სხვა დაავადებებსაც, რომელიც პაციენტს აწუხებს. მაგალითად, კუჭის წყლულს ან ეროზიულ კოლიტს.

**თქვენ მოგამსახურებთ გამოცდილი ექიმი თერაპევტი მარინა ქორიძე.** მისაკითხეთ შედეგები მისამართზე:

**ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. N18 (სტამბა-რედაქციის ყოფილი შენობის პირველი სართული). სამედიცინო ცენტრი, ექიმები თქვენს სამსახურში, ლაზერო თერაპიის კაბინეტი.**

## სპორტი ბაქოში სამხრეთის ქვეყნების თასზე ორი დედოფლისწყაროელი სპორტსმენი ჩემპიონი გახდა

### დარბაზის ბარეზე დარჩენილ დედოფლისწყაროელ ჩემპიონებს აპერბაიჯანი მათი სახელით ასპარეზობას სთავაზობს



დედოფლისწყაროს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის კლუბი „არ-მია“ 27-28 ოქტომბერს აზერბაიჯანის ქალაქ ბაქოში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო ტურნირი „სამხრეთის ქვეყნების თასი“ გაიმართა კიკ-ბოქსინგში და შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში.

დედოფლისწყაროდან ამ შეჯიბრებაზე ორი სპორტსმენი მონაწილეობდა მწვრთნელი გიორგი ცისკარაულის ხელმძღვანელობით.

როგორც „არ-მია“-ს მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, ორივე სპორტსმენი, ლეკან ნიკლაური და ნიკა ჩიტოშვილი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი გახდა და შეჯიბრებიდან ოქროს მედლებით დამშვენებული დაბრუნდა.

„ჩვენ კლუბს სავარჯიშო დარბაზი არ გააჩნია და ამ ორი სპორტსმენის

აინტერესებთ მხოლოდ ოთახი ვითხოვეთ სადაც ვარჯიშს შევძლებდით და მანაც არავინ დაგვეხმარა,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, კლუბი შეჯიბრებაზე საკუთარი ფინანსებით იმყოფებოდა. სავარჯიშო პირობების გარეშე დარჩენილ დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს აზერბაიჯანული მხარე მათი სახელით ასპარეზობას და დახმარებას სთა-

ვაზობდა.

„ლევან ნიკლაურს შეჯიბრების ორგანიზატორებისგან ჰქონდა შემოთავაზება, რომ აზერბაიჯანის სახელით გაეგრძელებინა სპორტში მოღვაწეობა, რაზეც რა თქმა უნდა უარი ვთქვით. ჩვენი კლუბის ბავშვები თხოვნით მივმართეთ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, „გადაარჩინეთ სპორტი“ დედოფლისწყაროში. მხოლოდ დარბაზს ვითხოვთ, სადაც ვარჯიშის გაგრძელებას შევძლებთ,“ — აცხადებენ კლუბის წევრები.

4 ნოემბერს დაგეგმილია საქართველოს თასის პირველობა კუნგ-ფუს სანდაში, ასევე 18 ნოემბერს საერთაშორისო ჩემპიონატი კიკ-ბოქსინგში. დედოფლისწყაროს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის კლუბი „არ-მია“ ამ ასპარეზობებზე გამოსვლასაც გეგმავს, თუმცა შესაბამის მზადებას სპორტსმენები დარბაზის არარსებობის გამო კვლავაც ვერ ახერხებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი		დედოფლისწყარო					
შაბათი 03. 11	კვირა 04. 11	ორშაბათი 05. 11	სამშაბათი 06. 11	ოთხშაბათი 07. 11	ხუთშაბათი 08. 11	პარასკევი 09. 11	
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	
13° 10°	14° 9°	12° 10°	12° 10°	13° 12°	14° 12°	10° 8°	

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილობითი მთავარი ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მებრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); მინაილ ბაგრატიანი (სტილისტ-მწერელი); ნათელა მოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწერელი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბდოდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „საარს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	---	--	---